პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის და დიმიტრი კორახაშვილის I, II და III ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევის სამ მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის I,II და III ჩიხების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

1 : 793

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, თბილისი, ორთაჭალა, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N12ა.
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
12A GIORGI GURAMISHVILI STR. ORTACHALA TBILISI, GEORGIA
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00025243

06-032521716-03

05/08/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ასლი: ალექსანდრე ჩადუნელს
მცხ.: გარდაბანი, აღმაშენებლის №2, ბინა №51

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მიმდინარე წლის 4 აგვისტო №25142 განცხადებით მომართა მოქალაქეთა ჯგუფმა, შუამდგომლობისათვის, ქალაქ თბილისში ერთ-ერთ ქუჩისათვის აფხაზეთში დაღუპული ***დიმიტრი ილიას ძე კორახაშვილის*** სახელის მინიჭების თაობაზე.

დიმიტრი ილიას ძე კორახაშვილი მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და ერთიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს მაშველთა კორპუსის (მხედრიონის) შემადგენლობიდან. იგი 1993 წლის 22 სექტემბერს ტრაგიკულად დაიღუპა, სოხუმის აეროპორტ ბაბუშერაში დასაჯდომად დაშვებულ თვითმფრინავში, რომელიც ჩამოგდებული იქნა მტრის კა-ტარ-ღი-დან ნასროლი სა-ზე-ნი-ტო ჭურვით.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის, ასევე საბრძოლო მოქმედებებში გამოჩენილი თავდადებისთვისა და თავგანწირვისათვის ***დიმიტრი ილიას ძე კოხარაშვილი*** დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასალის III ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ.

როგორც მოგეხსენებათ „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის საფუძველზე სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ერთ-ერთი ფორმაა სამშობლოს დაცვისას დაღუპულისა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის სახელისა და გვარის დარქმევა ქუჩისათვის, მოედნისათვის, დაწესებულებისათვის, სკოლისათვის, აგრეთვე სამხედრო ნაწილისა და გემისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბრძოლო ოპერაციების ჩატარების დროს.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

აღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით შემოსულ განცხადებას და გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში იმსჯელოთ განცხადებაში მითითებული საკითხის დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე.

დანართი: 6 ფურცელი.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის

დირექტორს ბატონ კობა კობალაძეს

აფხაზეთის და სამაჩაბლოს მებრძოლ ვეტერანთა

საერთო განცხადება

ბატონო კობა,

ჩვენი თანამებრძოლი კორახაშვილი დიმიტრი ილიას ძე დაბადებული 1970 წლის 14 იანვარს ქალაქ თბილისში და რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებში, კერძოდ აფხაზეთში, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა 2016 წლამდე. 2016 წლეს სოხუმში, ,,ბაბუშერას" აეროპორტის ტერიტორიაზე 1993 წლის 22 სექტემბერს თვითმფრინავის აფეთქების შედეგად საერთო სამარხში მოთავსებული ქართველი მებრძოლების საფლავების გათხრებისას გადმოსვენებულ ცხედრებს შორის ამოცნობილი იქნა დიმიტრი კორახაშვილის ცხედარი, რომელიც გადმოსვენების შემდეგ დაკარძალული იქნა ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე, სამხედრო პატივით.

საბრძოლო მოქმედებებში გამოჩენილი თავდადებისა და დამსახურებისათვის დიმიტრი ილიას ძე კოხარაშვილი დაჯილდეობული იქნა ,,ვახტანგ გორგასლის III" სიკვდილის შემდეგ.

მისი სახელის უკვდავსაყოფად გთხოვთ, ქალაქ თბილისის საკრებულოს წინაშე გაგვიწიოთ შუამდგომლობა რომ მისი სახელი დაერქვას ერთ-ერთ ქუჩას. წინასწარ გინდით მადლობას.

თარიღი:

ხელის მომწერნი:

1. [illegible] 01004605429 599-18-59-86
2. [illegible] 01045007188 [illegible]
3. [illegible] 01013023741 577418648
4. [illegible] 01024002905 599780150 [illegible]
5. [illegible] 599404543

6. [illegible] 01011034908 599 086356

7. [illegible] 1600 10000429 . 597995517

8. [illegible] 01901121581 593 205496

9. [illegible] 01011050126 599 921025

10. [illegible] 01008009364 574166600

11. [illegible] 01002019203, 577-999583.

12. [illegible] 01001024283 – 577 02-86-37

13. [illegible] 58001017819 – 557-29-84-75

14. [illegible] 01084021234 – 558-715769 – [illegible]

15. [illegible] 01001038300 – 599-14-91-93

16. [illegible], 62003000043, 599-032882

17. [illegible] 62003007418 574-901591

18. [illegible] 01011032790 571-03-09-33

19. [illegible] 31001002137 593 [illegible]

20. [illegible] 62003001557 555560440

21. [illegible] 01015001573 557476589

22. [illegible] 01012024385 591701742

საქართველოს მხედრიონი
№ 153
21 ... აპრილი ... 1993
ქ.თბილისი კოსტავა, 3 №63

საგრძოლო მოკვლევა

კორახაშვილი დიმიტრი ილიას ძე, დაბადებული 1970 წლის 14 იანვარს, მცხ.ქ.თბილისში, რატლის ქ.№17.

კორახაშვილი დიმიტრი ირიცხებოდა "საქართველოს მხედრიონ" წევრად 1992 წლის იანვრიდან, იღებდა მონაწილეობას საქართველ ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში.

დაიკარგა უგზოუკვლოდ ქ.სოხუმში 1993 წლის 22 სექტემბე რასაც ამოწმებენ მისი თანამებრძოლები.

საქართველოს მხედრიონის
მთავარი საბჭოს თავმჯდომარე ... ზ. არველა

/ ... /

/ ... /

/ ... /

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032527319**
თარიღი: **30/09/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის კობა კობალაძის 2025 წლის 05 აგვისტოს საქმე #06-0325221716-03 დაკავშირებით, რომლითაც შუამდგომლობს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მებრძოლ ვეტერანებს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის დიმიტრი კოხარაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ საბარგოს დასახლების XII შესახვევის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 9 (ცხრა) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დიმიტრი კორახაშვილი

(1970-1993)

აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი

დიმიტრი კორახაშვილი ილიას ძე დაიბადა თბილიში, 1970 წლის 14 იანვარს.

იგი მონაწილეობდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და ერთიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს მაშველთა კორპუსის(მხედრიონის) შემადგენლობიდან, რომლის წევრიც იყო 1992 წლის იანვრიდან.

დაიღუპა ტრაგიკულად 1993 წლის 22 სექტემბერს, სოხუმის აეროპორტ ბაბუშერაში დასაჯდომად დაშვებულ თვითმფრინავში, რომელიც ჩამოგდებულ იქნა მტრის კატარღიდან ნასროლი საზენიტო ჭურვის შედეგად.

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის, ასევე საბრძოლო მოქმედებებში გამოჩენილი თავდადებისა და თავგანწირვისათვის დიმიტრი კორახაშვილი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ.

2016 წელს სოხუმში, ბაბუშერას აეროპორტის ტერიტორიაზე 1993 წლის 22 სექტემბერს თვითმფრინავის აფეთქების შედეგად საერთო სამარხში მოთავსებული ქართველი მებრძოლების საფლავების გათხრისას, გადმოსვენებულ ცხედრებს შორის ამოცნობილ იქნა დიმიტრი კორახაშვილის ცხედარი, რომელიც გადმოსვენების შემდეგ დაკრძალულ იქნა ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით.